

34.  
35.

საქართველოს  
საბჭოთავო  
საზოგადოებრივი  
საბჭო

# ქვემოთავე



## N 6

### 19 საბჭოთავო საზოგადოებრივი საბჭო



# ოქტომბერი

## № 6

სამ. ა. ლ. ძ. ძ. ცეკასა და სამ. განსახორმის პარტიული  
ქურნალი

ივნისი 1935 წელი

მისამართი: ტფილისი, კროვის ქუჩა № 7

### შინაარსი

1. წვიმა სიფელში (ლექსი) გიორგი კაჭახიძისა . . . . .	83
2. ვაბარულნი (მოთხრობა) — ცქვიტისა . . . . .	1
3. ჩემო პატარავ (ლექსი) — მიმჭრალისა . . . . .	2
4. ჯგმალი (მოთხრობა) — იაკო გოცირიძისა . . . . .	3
5. შატავრი შოთა (ლექსი) — შ. სამადაშვილისა . . . . .	4
6. შეთევზე დიტო (მოთხრობა) — ლ. ტიკინაძისა . . . . .	5
7. ჯაფარას წერილი დედას (ლექსი) — სანდრო ყდენტისა . . . . .	6
8. როგორ დააფრთხო კიკამ ქურდები (მოთხრობა) — გ. კალანდძისა . . . . .	7
9. დღესასწაულის სათვალავი (ლექსი) — მ. ებრალიძისა . . . . .	8
10. აბა დაუფიქრდი! (მოთხრობა) — ნ. ქელი . . . . .	9
11. საზაფხულო არდადეგები (ლექსი) — სიმონ გერგიშვილისა . . . . .	10
12. გაღვიძება (ლექსი) — ეთერი მარკოზაშვილისა . . . . .	11
13. ოკეანების ფსკერისკენ . . . . .	12
14. შავი ზღვის იშვიათი სტუმარი . . . . .	13
15. გიგლას ოცნება (ლექსი) — ილ. ბილაინიშვილისა . . . . .	14
16. ბავშვთა დღე სოფლად (ლექსი) — გ. ნაფეტვარძისა . . . . .	15
17. გაზაფხული (ლექსი) — კომოთე მუკვანისა . . . . .	16

სარედაქციო კომისია: { ლიდა ვახვიანი, გიორგი კაჭახიძე (პ. მგ. რედაქტორი), ან. ღვინიაშვილი, შალვა თაბუკაშვილი, ცქვიტი, ნად. საბახტარაშვილი და ლავრ. ტიკინაძე (პ. მგ. მდივანი)

## წიგნის სოფელში

გვალვა იყო, ბული იღვა,  
წუხდა ყანა, წუხდა ბალი;  
განუყრელად ჩრდილში თვლემდენ  
წაბლას ხბო და კოჭლი ძაღლი.

სიცხე გვწვავდა და ვნატრობდით  
წყლის წვეთების ცვენას ციდან,  
ბევრჯერ კიდევ მოიღრუბლა,  
მაგრამ მაინც არ გაწვიმდა!

გუშინ დილით მთის კალთებზე  
გაიშალა ნისლი ზანტად,  
შემდეგ უცებ გაგულისდა,  
გაშავდა და გაიზარდა.

აბობოქრდა, ცა დაფარა  
სარკესავით სუფთა, წმინდა...  
ელვამ სივრცე გაანათა,  
ღაიქეა და გაწვიმდა!

მძიმე, მკვრივი წყლის წვეთები  
ეცემოდენ მიწას მარღად;  
დაუსველდა ტანი ხეებს,  
ღაიბანა პირი ვარღმა.

კრუხი ჭერქვეშ დაბინავდა,  
მიაშურა თავლას ხარმა.  
მშრალი მიწა შესასმელად  
ღაეწაფა წვიმას ხარბად.

ღიღბანს სვა და გასისინდა,  
გაიხსენა ია მკვდარი,  
ერთ ღროს ბუჩქთან ამოსული,  
გაშლილი და კოხტად მღგარი.

გაძღა მიწა, გაიხსენა  
მწუხარება მთა და ბარის...  
რუ აღიდდა, და საღამომ  
მოიტანა ქვეყნად ღარი.

ხის სახლებში ფანჯრებიდან  
მზემ ბავშვივით შეიჭვრიტა,  
რაღაც თქვა, და ბაღში გრძნობით  
აიმღერა გული ჩიტმა.

გრილმა სიომ შფარხია  
ტყის ფოთლები ცელქი, წყნარი,  
დაკოცნა და გააციანა  
პაწაწინა წყაროს წყალი.

გლები გზაზე აღიღინდა,  
გაუბრწყინდა თვალი ყანებს,  
დაფრდომილმა ყვავილებმა  
კვლავ ქვეყანა შეიყვარეს,

ცას შეხედეს, აღრინდელზე  
უფრო ვრცელს და უფრო სუფთას...  
კარგი იყო მზის ქიატი,  
საღამო და მიწის სუნთქვა!

გიორგი კაჭახიძე

ნუნუმ და პაწია გვიმ კარგად იცოდნენ, რომ ხვალ რალაც დიდი ამბავი უნდა მომხდარიყო.

ყველა ემზადებოდა. დედამ ნუნუს და გვიის ხვალისათვის ახალი ტანსაცმელი გაუმზადა.

სალამოკვამს ქუჩაში ხალხი აჩქარებული ნაბიჯით დადიოდა. ყველა მხიარული იყო, ყველა ხვალისდელ დღეზე ლაპარაკობდა.

გვიი და ნუნუ ალაყაფის კარებში ისხდნენ.

— გვიი, ჩვენც წავიდეთ... ხედავ, ხალხი სულ სადღაც მიდის... იცი, მოდი და ახლავე წავიდეთ.

— არა, ნუნუ, ახლა მალე დალამდება. მეშინია. ისევ დილაზე წავიდეთ. განა დღეს არის დიდი ამბავი? დედამ აკი თქვა ხვალაო!

ნუნუც დაეთანხმა. ცოტა არ იყოს, სიბნელისა იმასაც ეშინოდა. ბავშვები მალე დაბრუნდნენ შინ, ჩაი დალიეს და ხვალისდელი დღის მოლოდინში ადრე დაიძინეს. გათენდა. ახლადმოფრენილი ჩიტების კვიცილ-ხივილი უწინ ნუნუს შეესმა. თვალები სიხარულით გააქუჩა და პაწია საწოლზე წამოჯდა.

— ყიუციყოო! გვიი, გათენდა, ბიჭო, ადე ჩქარა, გარეთ გავიდეთ!

— სუ, შვილო, ნუ აღვიძებ, გენაცვალე, ჯერ ადრეა. დეე, ეძინოს, — ნამძინარევი ხმით მიმართა დედამ ნუნუს.

— თუ კი გათენდა? გვიცი უნდა ადგეს. ყიუციყოო, ყიუციყოო! — უფრო ხმამაღლა შესძახა ნუნუმ.

— გოგო, ადრეა, ადრე. დაეგდე შენც და დაიძინე! გულია შენგან გაწყალებული! ახლა კი გაჯავრებით წაუტია დედამ.

— ადრე კი არა! აგერ ჩიტები როგორ მღერიან, შენ კი იძახი ადრეაო.

ამ ლაპარაკის დროს გვიიმაც თვალები გააქუჩა და შეშფოთებული წამოიჭრა.

— დედა! ჩქარა ჩამაცი, ჩქარა! დღეს ხომ პირველი მაისია და ხალხი უნდა ვნახო

— ბიჭო, რა დროს ხალხია, ჯერ ყველასა სძინავს! დაწეკით და ხმა არ ამოიღოთ. ხომ იცით, მამა გუშინ გვიან მოვიდა და არ გააღვიძოთ.

ბავშვები აიმრიხნენ, აფშრუკუნდნენ. დედა დარწმუნდა, რომ არ მოისვენებდნენ, და ორივეს საჩქაროდ ტანთ ჩააცვა. ბავშვებმა ოთახში რაკი ხმაურობა ასტეხეს, დედამ კარები გაუღო.

— გესმით, აივანზე ითამაშეთ, შორს არ წახვიდეთ...

— ჰო, ნუნუ, შორს ნუ წავალთ...

ბავშვები რვა საათამდე აივანზე თამაშობდნენ, შემდეგ კი, როცა ქალაქმა თვალები მოიფშვინტა და მოუსვენრად ახმაურდა, ჯერ ეზოში გამოვიდნენ, იქიდან ალაყაფის კარებს მიადგნენ და ჰაიდა...

ქუჩის მორთულობამ და მხიარულმა ხმებმა ბავშვები მთლად გაიტაცა.

ყველგან, ყველა სახლიდან წითელი ბაირაღები ვადმოეფინათ. მეორე და მესამე სართულის აივნებზე ხალიჩები გადმოეკიდათ და სურათებით მოერთოთ იქაურობა.

წითელი დროშები ნიავის ოდნავ მოძრაობაზე კოხტად ფრიალებდა.

აქა-იქ აჩქარებული ფეხის ხმა და ლაპარაკი ბავშვებს მოუსვენრობას აგრძობინებდა.

მზე კარგად გადმოიწვერა. ცოტა ხანმაც გაიარა, და შორიდან მუსიკის ხმაც მოისმა. ბავშვებს გული სიხარულით აევსოთ. ქვევით, სულ ქვევით, რუსთაველის პროსპექტზე ხალხი ჭიანჭველასავით აფუსფუსდა.

აეროპლანი მოკრიალებულ ცაში მხიარული გუგუნით ძერასავით წამოვიდა.

მას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე, და ქალაქი გაივსო ხმაურობით.

— ტრა, ტა, ტა... ტრა, ტა, ტა... უცებ გაისმა მრავალი დოღის ერთნაირი ბრახუნი. ბავშვებმა აღმოსავლეთით გაიხედეს და სიხარულით წინა და უკან სირბილსა და ტაშის კერას მოჰყვნენ.

— არიქა, მოდიან, მოდიან! უიმე, დედა, რამდენნი არიან! — ყვიროდა გივი.

— ჰო, გივი, ეგენი პიონერები არიან. აბა შეხედე, რამდენი დროშა მოაქვთ! სულ წითელია იქაურობა. ქუჩები სულ მთლად გაწითლდა. უი, უი, უი! ხტის ნუნუ და თან ტაშს უკრავს, რაც ძალი და ღონე აქვს.

— წავიდეთ, ნუნუ. შეხე, იმათ ქვევით, გაუხვიეს. ჩვენც წავიდეთ, შენი ქიოიმე! ეგენიც ხომ პატარები არიან.

— სუფთა კაბა რომ არ ჩაგვიცვამს? დედას ხომ ეწყინება?! — უცებ მოაგონდა ნუნუს და კაბაზე დაიხედა.

— არა, ნუნუ, სახლში არ შეხვიდე, დედას არაფერი უთხრა, თორემ აღარ გაგვიშვებს. ჩვენ თვითონ წავიდეთ, რათ გვიჩნდა ახალი კაბა! — გაჯავრებით ურჩია გივიმ.

— ჰო, მართლა, დედა არ გაგვიშვებს. ჩვენ წავიდეთ, გივი, და აი ისევ ამ გზით მოვიდეთ. არა, გივი?!

— ჰო, ჰო, ჩქარა, ნუნუ, ჩქარა, სახამ დედა დაგვიძახებს...

ამ წაშს ახლა სხვა მხრიდან უფრო ძლიერად მოისმა მუსიკის ხმა და ამან კი ყველაფერი გადაწყვიტა.

ბავშვებმა ხელი ერთმანეთს მაგრა ჩაჰკიდეს და დაბლა დაემუნენ. მოდიან, მოხტან. ქუჩის ქვაფენილზე მათი პაწია ფეხსაცმელის ბაკუნი ისმის.

ქვემოთ ხალხს ქუჩები კიდევ აუვსიათ. წითელი ფერი... ყველგან წითელი დროშები...

გივიმ ერთერთი შენობის მეორე სართულის აივანს შეასწრო თვალი და გაჩერდა.

ნუნუმ სიტყვა ვეღარ გაათავა. იქვე სულ ახლო მუსიკამ დაიგრიალა და ბავშვები თან გაიტაცა.

სახეიმოდ გამოსული ხალხი ქუჩაში შეტბორებულ მდინარესავით ტრიალებს ქუჩის მარჯვენა მხრით ხალხი თვითონვე ლების მოედნისაკენ მიდის, მარჯვენა მხრით კი მოედნიდან ისევ ზემოთ ტრიალდება. პროსპექტები სავსეა მაყურებლებით.

ხმაური, გუგუნი დულს ჰაერში და გამოპარული ბავშვები აღტაცებაში მოჰყავს. ისინი ხალხს მოურიდებლად შეუერთდენ, ერთმანეთს კი ხელს არ უშვებენ. თავისუფალ ადგილებზე ძვრებიან, დემონსტრანტებისკენ მიისწრაფიან. იქ დიდი და მორთული ავტომობილები დგანან. იმათი ნახვა სურთ. მუსიკის დამკვრელებიც თავისი თვალთ უნდა ნახონ.

გაძვრენ... ხალხი შედედებულ ტალღებად მოდის. მუსიკა უკრავს აი აქ, სულ ახლო, ნუნუს ახლო. ინსტრუმენტები მზის სხივებზე ცეცხლებივით პრიალებს.

— ღუპ, ღუპ, ღუპ! — ბოხი ხმით გაიძახის ერთერთი ყველაზე დიდი საკრავი.

— ბუუმ... ბუუმ... ბუუმ! — გრიალებს უშველებელი დოლი.

ნუნუს ყრუანტელი უვლის. ის სიხარულით ხტის და პაწია ხმით გაიძახის:

— მუშებს გაუმარჯოს, გაუმარჯოს...

ეს მათ საბავშვო ბაღში ასწავლეს და მიხვდა ნუნუ, რომ დღეს იყო ამის თქმა საჭირო.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — იმეორებს გივიც და თან წინ მიიწევს. პროსპექტს ჩამოსცილდენ. მილიციონერებმა ბავშვები შეამჩნიეს.

— უკან დადექით, უკან, სად მოიწევთ, თქვე კრიკინებო, თქვენა! — ჯავრობს მილიციონერი.

— შენ რა გინდა, უნდა ხალხი დაეინახოთ! — ამყად ეუბნება ნუნუ.

— ვისია ეს ბავშვები, წაიყვანეთ აქედან, ხომ ხალხმა გაიტანა ეს პატარები!.. ვისია, ვისი?! — ხალხი ერთმანეთს შეს-

ცქერის, თვალებით ერთმანეთს ეკითხე-  
ბიან შენი ხომ არ არისო. მილიციონერი  
უპასუხოდ რჩება.

— ვისია ეს ბავშვები? — კითხულობს  
დაეინებით მილიციონერი.

— არტილერია რომ ჩამოივლის, ხომ  
თან გაიტანეს ეს უპატრონო ბავშვები. —  
კიდევ ამბობს მილიციონერი.

ამ სიტყვების გაგონებაზე ნუნუს გუ-  
ლი შეეკუმშა.

— ვისია, ვისი ეს ბავშვები? — კითხუ-  
ლობენ ახლა ხალხიდან.

— პასუხის გამცემი არაფერ არის, ეს  
კითხვები კი ბავშვებს თავხარსა სცემს.  
ისინი ერთი ერთმანეთს შიშით უმზერენ.

ხალხი თანდათან მატულობს. ერთი-  
ერთმანეთის მიწყვეტ-მოწყვეტა და შე-  
ვიწროება დაიწყო. დემონსტრაციის ხალ-  
ხი კი მოდის და მოდის ადიდებული  
მტკვარივით. გამკლელ-გამომკლელნი  
ბავშვებს ხან აქეთ გამოიგდებენ, ხან იქით.  
ისინი ერთმანეთს უფრო მაგრა ებლაუქე-  
ბიან. შიშის ზარი შეიჭრა მათში. ზღვა  
ხალხმა ბავშვები შეაძრწუნა.

— ვისია ვისი? — ამ კითხვამ ხომ შეა-  
ჯვრა ბავშვები.

— დედაა... ვაიმე, დედა! — ხმამალა  
დაიღრიალა გვიმ. ნუნუმ გივი გულზე  
მაგრა მიიკრა და ახლა თვითონაც ატირ-  
და.

— ვისი ხართ, ბავშვებო ვისი? — ამ  
წამს მილიციონერმა ბავშვებს ხელი დას-  
ტაცა და ხალხის ტალღას ჩამოაცილა.

— მე ნუნუ ღიჩელი ვარ. ეს ჩემი ძმა  
არის. დედას გამოვებარეთ... — გულამოს-  
კნილი ეუბნება ნუნუ.

— მე დედასი ვარ, დედასი! — ღრია-  
ლებს გივი.

მილიციონერმა ვილაც კაცს ბავშვები  
ერთი წუთით ჩააბარა, თვითონ უფროს-

თან მივიდა, საქმის ვითარება შეატყუ-  
ბინა და ბავშვებს უკანვე დაუბრუნდა.

— ნუ ტირი, გოგონა, ნუ... აბა მით-  
ხარი, თქვენ სადა დგახართ? აბა...  
ღი, გაჩუმდი და მითხარი სადა დგახართ,  
რომ დედასთან მე წაგიყვანოთ.

— სასამართლოს ქუჩაზე. დედამა თქვა,  
თუ როდისმე დაიკარგო, ორმოცდაოთ-  
ხი ნუმერი უთხარიო.

— პო, კარგი. აბა მამ წავიდეთ: ნუ  
ტირი, ნუ. აი ახლავე დედასთან მიგი-  
ყვანათ...

გზადაგზა ამშვიდებდა ბავშვებს მილი-  
ციონერი. ნაცნობი ქუჩაც გამოჩნდა. შე-  
სახვევთან რომ მივიდნენ, ნუნუმ იცნო  
იქაურობა და სახე გაუბრწყინდა.

— აი, იქით, ზემოთ ვდგავართ. აი ჩვე-  
ნი მეპაპიროსე, მამა რომ ყიდულობს  
ხოლმე! აგერ ჩვენი მეპურეც!

ბავშვები მთლად გამოიცვალნენ. ორი-  
ვენი იციანიან, უხარიათ, რომ არ დაიკარ-  
გნენ, ხან კი უკან იყურებიან. მუსიკისა  
და ხალხის დატოვებაც ენანებათ.

ამ დროს ვილაც ქალი გულგახეთქილი  
მორბოდა ზემოდან.

— ვაიმე, შვილებო, დამიდგეს თვა-  
ლები... რალა ვქნა თქვენი ჭირიმე, — სა-  
ცოდავად გოდებდა ქალი.

— დედა, აქა ვართ აქა... იმდენი ხალხი  
ენახეთ, იმდენი რომ...

ნუნუ დედისაკენ გაქანდა, გვიმ კი  
დედის დანახვაზე უფრო უარესი ტირი-  
ლი მორთო და კალთაზე მაგრა მიეკრა.

— უიმე, შვილებო, ნუნუ, გივი!..  
თქვე საძაღლებო; სად იყავით, სადა? სად  
გამებარეთ, ვინ წამოგიყვანათ, ვინ?! ვაი-  
მე მუხლები, გული...

კიდევ კარგი, რომ ცოცხლები გადარ-  
ჩით თქვე გაუგონრებო თქვენა... ეხვეო-  
და ქალი შვილებს და თან სიხარულითა  
და შიშით ცახცახი გაჰქონდა.

აქაობი

პაპანაქება.

მწველი სხივები ქოლგასავით გადა-  
შლილ ხეების ჩრდილსაც შეეპარა.

ასე იცის ყოველ შუადღეზე, მაგრამ  
მზე რომ გადისრება, მერე გრილი ნიავი  
დაიწყებს ნავარდს.

ნიავი შეარხვეს ხეებს... აშრივალდება  
ფოთლები; და შუადღის დაყურსული  
პაერი გაიფანტება.

პატარა ღიტო ჩრდილშია, მშობლებ-  
თან ზის, ხალათი გაუხდია და ლილგა-  
ხსნილი პერანგიდან პატარა გულმკერდი  
მოუჩანს. სასეზე ოფლის პატარ-პატარა  
კურცხალი აყრია. ეტყობა საღდაც ურ-  
ბენია.

იგი ახლაც არ ისვენებს.

— მამა, გამიშვი, წყალში ჩავალ...

მამამ გაკვირვების ნიშნად ხელები  
გადაატრიალა.

— ბიჭო, სულ წყალში ყოფნა გავი-  
გონია?

ღიტო შეფიქრდა.

მიხვდა, მამის შენიშვნა რომ სწორი  
იყო...

მიხვდა ამას, მაგრამ მაინც თავისებუ-  
რად შეეხვეწა:

— მამა, ჭუჭყი კი არ მაწვალებს,  
მაგრამ რა სჯობია ახლა წყლით გავრი-  
ლებას?!

— ძილი, — უპასუხა მამამ.

— არ მინდა ძილი, ძილისათვის ღა-  
მეა მოგონილი!

მამას გაეცინა.

— ახლა სიცხეა, შვილო, ნაშუა-  
დღევს მაინც წადი, მაშინ აგრილებული  
იქნება.

— ნაშუადღევს რალა მინდა.

— კარგი, მაგრამ ჩრდილი მოძებნე...

— აბა რას ვიზამ, — წამოიძახა ბავ-  
შემამ მკვირცხლად, თავზე ძველი პირსა-  
ხოცი გადაიფარა და მდინარისკენ გაე-  
შურა. საღდაც გრძელი თეთრი ჯოხი  
გამოაძრო, სამჯერ დასტვინა და გზა გა-

ნაგრძო. სტენა ღიტოს ამხანაგების  
საიდუმლო ნიშანი იყო.


ბავშვები რამდენიმე წუთში წყლის-  
პირას მოგროვდნენ. ყველას თეთრი ჯო-  
ხი ჰქონდა ხელში. ისინი დასხდნენ ლიბ-  
ზე და საუბარი გამართეს.

მდინარეს ერთ მხარეზე სიპი კლდე  
მიჰყვებოდა. კლდეს ოთხი და ზოგან  
ექვსი მეტრი სიმაღლე ჰქონდა. ზემოთ  
იწყებოდა ბუჩქებით დაფარული ვაკე.  
მეორე მხარეს ტირიფები იღვია, გრძელი  
ტოტები ისე დაეხნიკათ, რომ თითქმის  
წყლამდის წედებოდა.

— გავიხადოთ ტანისამოსი, გავიხა-  
დოთ! — დაიძახა ერთმა.

— თავი კი წაქრული გვექნეს, მზე  
ველარ დაგვკრავს, — თქვა ღიტომ.

გავიხადეს ტანისამოსი, თქაფუნით გა-  
ირბინეს წყალი და გაღმა გავიდნენ. ისინი  
რიგრიგობით აღიოდნენ ტირიფებზე და  
იქიდან ხტებოდნენ წყალში, ხანაც ერთ-  
მანეთს ახტებოდნენ ზურგზე. ცურვა და  
ტირიფებიდან ხტომა რომ მობეზრდათ,  
მერე თავიანთი ჯოხები აიღეს და ისევ  
მდინარეს ჩაუდგნენ. დაინახავდნენ თუ არა  
თევზს, მას ნელნელა გაიტყუებდნენ სი-  
ლაზე და გრძელი ჯოხი მოულოდნელად



120 საბავშვო კერის ბავშვები ბოსტანში მუშაობენ.

გაადენდა ტყაპანს. თევზი გულდაღმა გა-  
დატრიალდებოდა. ბავშვები დააეღებ-  
დნ ხელს და სილაზე ამოჰოილ პატა-  
რა ორმოგებში ყრიდნენ. ასე აგროვებდნ  
შინ წასვლამდის, ბოლოს დაითელი: ენ  
თავიანთ ნანადირევს და უხაროდით,  
თევზები რომ მიჰქონდათ.

ზემოთ მძლავრი აფეთქების ხმა გაის-  
მა. იცო მძვინვარებდა, რომ ეს ხმა მეთევზე-  
ების დინამიტისა იყო. იგი მიინც თავი-  
სი თეთრი ჯოხით განაგრძობდა თევზ-  
ობას, ჩქარ-ჩქარა ამოყავდა ქაშაპები  
კარგ მეთევზესავით.

— ბიჭო, რა ამბავია, ამდენ თევზს  
რომ იჭერ? — გაკვირვებით შეეკითხა  
ერთი ამხანაგი, რომელიც სილაზე ამო-  
ჭრილ წყლიან ორმოსთან იდგა და თავი-  
სი გრძელი თეთრი ჯოხი ყუარჯენი-  
ვით დაეყუდებოდა.

დიტომ გაიღიმა და თავმომწონედ  
უპასუხა ამხანაგს:

— შე კაცო, ბაბუაჩემი მეთევზე ყო-  
ფილა, მამაც კარგი მეთევზეა. ჰოდა რა  
გასაკვირია, მე რომ თქვენზე მეტი თევ-  
ზი დავიჭირო.

შუაღღე გადავიდა. შინისაკენ წასვლა  
დააგვიანდა.

დიტო ფხვარეფით დაიარება წყალ-  
ში, კისერს იგრძელებს და ისე იტყირე-  
ბა წინისკენ. მის სახეს უეცრად მოეფი-  
ნა ღიმილი, წარბები ზევით ასწია, თვა-  
ლები ფართოდ გააღო, ჯოხისათვის მა-  
გრად ჰქონდა ორივე ხელი ჩაკიდებული  
და მდინარეში აქეთ-იქით შეუშინებლად  
დახტოდა. მის წინ გრძელი თევზი მიტუ-  
რავდა. ის ნაპირზე გამოსულიყო, ნაწილო-  
ბრივ თეთრი გულმკერდიც უჩანდა.  
ცურვა უჭირდა და გრძელ ბოლოს  
ძლივს აქნევდა, მაგრამ უცებ მოიკრიბა  
ძალი. ღრმა წყალში შეტურვა დააპირა:  
ამ დროს პატარა მეთევზის თეთრმა ჯო-  
ხმა მხვარტქანი გააღინა წყლის ზედაპი-  
რზე, და თევზი გულაღმა გადატრიალ-  
და. ჯოხი გვერდზე გადააგდო და თევზს  
ორივე ხელით ჩაეჭიდა. საწყალ თევზს

დინამიტის ხმაზე გული გასკდომილი და  
წყალს გაჰყოლოდა ქვემოთ.

ეს არ იცოდნენ დიტოს ამხანაგებმა  
და ირგვლივ შემოესივნენ. დიტოს ხსენებ-  
პარაკობდა, თითქოს გამოცდილი მეთევ-  
ზე იყო. ლაპარაკს რომ მოაჩინებ, თევ-  
ზები პირსახოცში ვახვია და შინისაკენ  
მოკურცხლა. მამა სამუშაოზე წასულიყო  
და შინ დაებარებია:

— დიტო რომ მოვიდეს, ჩემთან გა-  
მოგზავნე, უნდა დავტუქსო; ადრე უნდა  
მოსულიყო, პირობა რად გატეხაო.

დიტო ფრთხილად მიადგა ქიშკარს.  
მამა ჩრდილში აღარ იყო, მუთაქა ხეზე  
აყუდებოდა. დიტოს იმედი მიეცა და  
ეზოში თამამად შევიდა.

— ბიჭო, სადა ხარ ამდენხანს? — მია-  
ძახა დედამ შემოსვლისთანავე.

— დედა, იცი, აი მე რამდენი თევზი  
დავიჭირო, ვახშმად გვეყოფა! — და პირ-  
სახოცი გაშალა.

დედამ გაჯავრების მაგიერ ღიმილით  
მიპირთა:

— წამოდი, შენი ნანადირევი მამა  
შენს ვაჩვენოთ, თორემ...

დიტო აიმრიბა და დედას შორი-  
ახლოს გაჰყვა, მერე სულ უკან ჩამორჩა.  
მამამ ამბავი რომ გაიგო, სიცილით  
თქვა:

— ოო, რა ეშმაკია! რით დაიჭირა  
ამდენი თევზი? უჰ, ეს ერთი რამხელაა!  
დიტოს იმედი მიეცა, გაწყრომის  
აღარ ეშინოდა, მაგრამ მამასთან მაინც  
ფხვარეფით მივიდა.

— გვეყოფა ვახშმად? — გაბედულად  
იკითხა დიტომ აწითლებული სახით.  
მამასაც გაეღიმა.

— ამ თევზებს უმადლოდენ, თორემ.  
დიტოს ხმა აღარ გაუღია.  
ვახშმად რომ დასხდნენ და მის დაქე-  
რილ თევზს შეექცევოდნენ, მაშინ კი სი-  
თამამე მოემატა...

ამის შემდეგ დიტოს ახალი სახელი  
დაარქვეს. შინ და გარეთ სულ მეთევზე  
დიტოს ეძახოდნენ.

ლაგ. კიკინაძე



აპრილის მზე, რომ შემოანათებს,  
 აბჭკვრიადღება მდგლოზე ბროლი,  
 სხივები ქალებს თეთრად აანთებს  
 ათასი ჯაჭვის ათასი რგოლით.  
 შენ თან აპყვები პირველ ბორიას,  
 შვებით ამართავ პატარა ხელებს,  
 მარდად გადირბენ სერებს გორიანს  
 და კრიმანჭულით მიარღვევ ველებს.

იქ გელოდება სკოლა და სწავლა  
 (მეტი სინათლე მოუნდა სოფლებს),  
 ისე გიხდება ამ გზაზე ვავლა,  
 ვით ნამის თქორი დასიცხულ ფოთლებს.  
 წინ გეფინება ხმაური ხალხის  
 და სურნელება ია და ვარდის,  
 მოხვალ და მოგაქვს შუქი სიახლის,  
 როგორც გაზაფხულს ყვავილი ატმის ..  
 მიმქრალი.

## ჯ ე მ ა ლ ი

პატარა ჯემალმა მარდად გაირბინა დი-  
 ლის ცვრით სავეყ ფუნწიულა ბალოახები.  
 კრიხულასკენ მირბის პატარა ჯემა-  
 ლი, ცუგრუფელა ბიჭუნა, მირბის სიხა-  
 რულით სავეყ.

უკან მოიტოვა მეზობელ თადოს ბა-  
 დები.

ჩაირბინა ხრიოკი ფერდობი!

ჰო, რა სილაღით მირბის ის!

ჩავალ იქ, მდინარისპირას, სადაც ძეწინის  
 ბუჩქებია, ჩავიმალევი, ვუყურებ, როდის  
 ჩაცურდებიან წყალში ჩემი იხვები, ვუ-  
 ყურებ, რომ არაეინ მომიკლას! ანდა ამ  
 ხევში ხომ ბევრი მელიაა! — წუწი მელი-  
 ები უცებ გამოვარდებიან ტყიდან, წაე-  
 ლებენ პირს და მორჩა! — ასე ფიქრობდა  
 ბიჭუნა.

მეწისქვილე პეტრია გაოცდა:

— ბიჭო, რა გინდა ამ დროს აქ?

— მე, ძია, იხვების საძებნელად წა-  
 მოვედი...

— ასე აღრე?

— ჰო!

— ყოჩაღ, ბიჭო! მოდი აქ...

ჯემალი მორცხვად შევიდა წისქვილ-  
 ში. დიდრონი ქვეები ხარბად იცოხნიდენ  
 სიმინდს. მეწისქვილე პეტრია გემრიელად

იციონდა: — სკოლაში იმიტომ დახვალ,  
 რომ მეიხვე გამოხვიდე?

— არა, ბიძია, მიყვარს ჩემი პატარა  
 იხვები! მერე რა ცუგრუმელები არიან!  
 კრიხულაში თავგებოვით დარბიან, წამოე-  
 ლენ უთენია და საღამოს ძალიან გვიან მო-  
 მადგებიან კარებზე: „ვა.ვა...ვა“. მეშინია,  
 გუშინწინ ერთი დამეკარგა...

დაღონდა ჯემალი: მოაგონდა პიო-  
 ნერთა რაზმში დადებული სიტყვა. მათ  
 ხომ უთხრა, ჩემი იხვები ბუჩუბივით გამ-  
 რავლდებიანო. მერე, ასე უნდა? დღეს თუ  
 ერთი დაკარგა, ხვალ მეორე... ძეწინებში  
 მელიას მოეპარა. ახლა 'კი ველარ მო-  
 პარავს. მელიას ტყავს გააძრობს, თუ თეა-  
 ლი მოჰკრა. ან როგორ მიეპარება, თუკი  
 სულ თავის იხვებთან იქნება?

ყველაფერი აუხსნა მეწისქვილე პეტ-  
 რიას. პეტრიამ გახედა ჯემალის იხვებს.

ჯემალმა ველარ მოითმინა და გარეთ  
 გავარდა:

— იხვებო! მე თქვენთან ვარ, პირძალ  
 მელიას კბილებს დავაძრობ!

იტკრციალეს იხვებმა და კრიხულას  
 ტალღებს შეურთდენ.

ვერცხლისფერ ტალღებში ბანაობდენ  
 ჯემალის იხვები.

— განა ასე შეიძლება? სად არის აქამდის!  
 — იწყინა რაზმის ხელმძღვანელმა.  
 არსად ჩანდა ჯემალი. მას მოხსენება  
 აქვს დავალებული პატარა ცხოველების  
 შეფლობის შესახებ, ის კი არსად ჩანს. ღამ-  
 დება. თანჯრებში იტყირება ყველა, უცებ  
 ყორესთან იხვები ავაზახდენ და სკოლის  
 ეზოში შემოცვივდენ.  
 — მოვდივარ, ბიჭებო, ჩემი მოხსე-  
 ნებით!

ბავშვები სიხარულით აივსენ.

— მოდიან ჯემალის იხვები!

— მოდიან შეფელები!

— მოდიან...



ცაში ღრუბელი გაჩნდა. უგემურმა  
 სიომ დაუბერა. მოხუცებმა დაღასტურეს,  
 ცული ამინდის ნიშანიოა.

მთებში გაწვიმა.

ჯემალი დიდრონ მუხის ფოთლებში  
 ვერაფერს გრძნობდა.

იელვა და იქუხა. კოკისპირული წვიმა  
 წამოვიდა. მოვარდა მთის ღელეები.  
 აღიდდა კრიხულა.

რა ქნას ჯემალმა? სად არიან მისი  
 იხვები?

მეწისქვილე პეტრიასთან შევარდა:

— ბიძია ჩემი იხვები ხომ არ დაგი-  
 ნახაეს?

— წელან ძეწნებში იყენენ წყალგაღმა.

რაო, ძეწნებში? რალა ქნას ახლა?

ბილიკით ჩაირბინა კრიხულასკენ.

— კვატა... კვატა... აა...

— ვა... ვა... — უპასუხეს იხვებმა.

როგორ უშველოს?

მდინარემ ხეები წამოიღო.



გორაზე დედამ გადმოიბრინა:

— ჯემალ, სადა ხარ, ბიჭო?

მეწისქვილესთან იყო...

დედამ უმაღლე მიირბინა წისქვილში.

— სად არის ჯემალი?

პეტრიამ ხმა ველარ ამოიღო.

— ამ წუთში აქ იყო. სად გაქრა?

წვიმა მატულობდა...

მდინარე ღმუოდა...

— პეტრია, მიშველე რამე! სად დაი-  
 კარგა ბიჭი!

— ნუ შიშობ, ქალო, ის ყოჩალია,

არაფერი მოუა ცული... ანუგეშებდა ჯე-  
 მალის დედას მეწისქვილე.

— გაწყდა იხვის სახსენებელი! — იწყე-  
 ვლებოდა დედა.

წისქვილში ცეცხლი ტაკუნობდა.

დოლაბის ქვეები გრიალებდენ....

ძეწნებში იყო ჯემალი.

გარშემო საყვარელი ჩხეები მო-  
 ხსდომოდენ.

— ჯემალ! ჯემალ!

— ვა... ვა... — ავაზახდენ იხვები.

გემრიელად გაიღიმა ჯემალმა და იხ-  
 ვებს მიუბრუნდა:

— აბა შინისკენ, ცუგრუმელებო!

— ვა... ვა...

— მოვდივართ, დედა მოვდივართ მე  
 და ჩემი იხვები!

აკაკი გოცირიძე

## მხატვარი შოთა

კაცმა როგორ არ შეაქოს  
 ოქტომბრელი ჩინებული. —  
 ხატავს ნავთის ქალაქ ბაქოს  
 სასუ აქვს გაბრწყინებული.  
 დაასრულა კომპის ხატვა,  
 ახლა ხატავს ნავთის მილეებს, —  
 ბოლშევიკურ აზრითა და  
 ოსტატურად მოწყობილებს.  
 და ხატავს ინგლისელებს,  
 სივარით და აზრით ქიანს.  
 ნიჭიერად დაამშვენებს

დაუფიწყარ შაუმიანს.  
 გარეთ ცოცა... დაქრის ქაოი,  
 ტბილად ძინავს მამა არტოს,  
 მაგიდასთან დინჯად მჯდარი,  
 ხატავს შოთა მარტოდ მარტო.  
 დრო გადის და... ხატავს ბაქოს  
 კვლავ სახე გაბრწყინებული.  
 და თქვით როგორ არ შევაქო  
 შოთა ბიჭი ჩინებული?!

შ სამადაშვილი



დედავ, გიკოცნი მკერდს და ძუძუებს,  
დედავ, გიკოცნი ტუჩებს და თვალებს.  
ფიქრობ, დღეები გაივლის უცებ  
და მეც სოფელში ვიქნები მალე.

მახსოვს: ბავშვები, ეზო და სახლი,  
შორს გაწოლილი ხეების ჩრდილი  
ახლა ნიაგი ფოთლებს რომ არხვეს  
ან და, რომ ბზინავს ბალახი დილით...

ხშირად ფიქრებით, სიზმრად და ცხადად  
სოფლის შარაზე ვეშვები დაღმა.  
თვალწინ მიდგია ფისუა-კატა;  
აღბათ, ნუკრიაც სულ დიდი გახდა.

შენ კოლექტივში ძვირფასო დედი,  
უფლი ბოჩოლებს, ბატყებს და თიკნებს,  
მაგათ შესახებ წინათაც ვწერდი,  
რომ დამიკოცნო ყველანი იქნებ...

მახსოვხართ ჩემო, მაგრამ არც ისე,  
რომ დავივიწყო წიგნი და სწავლა...

გულს სიხარულით ნიშნები მივსებ  
და თან ცქრიალა ბავშვებში გავლა.

აქაც ბევრია ბალი და მწვანე  
ქადრების რიგი ამშვენებს ქუჩებს,  
დგანან მოხდენით... მუდამ დღე რწყავენ  
დიდრონ ხეებს და პატარა ბუჩქებს.

ქალაქმა ისე იცვალა სახე,  
რომ ვეღარ იცნობ სრულიად დედი,  
ამ ფართო ქუჩებს და მაღალ სახლებს...  
შენც შეგახედა, ნეტავი ერთი!

კიდევ დღეები სულ ცოტა დარჩა...  
შენ არ იფიქრო... ვცუღლოუტობ განა?!  
ვიცი, სოფელი ახლა ჰგავს ფარჩას  
და როგორ ამკობს ნაღური ყანას!

მოვალ, ნიშნებიც მექნება კარგი,  
ეს დროც სწავლაში გაივლის მალე...  
ვითვლი დღეებს, რომ ავიკრა ბარგი,  
დედი, ამ ფიქრით გიკოცნი თვალებს!!!

სანდრო ჟღენტა

## როგორ დააფრთხიო მიჭამ კურდები

წვიმამ საღამო ხანს გადაიღო. შემოდგომის მოშავო ღრუბლები ახლა მხოლოდ ნაფლეთ-ნაფლეთებად მიმოდინოდნენ ცაზე. დაბინდდა. კიჭამ სახლის კარები ჩარაზა, შემდეგ ბუხართან თავჩაქინდრული კარგახანს ჩასცქეროდა ჩანაკვრცხლებულ ჯირკს. ბოლოს ძილი მოერია. „აღბათ, ამედამ ვეღარ მოვლენ: ხანის წყალთან შემოალამდებოდათ და ღამეს ნათესავებში გაითევენ“—გაითიქრა, ცეცხლი ჩაახვია, ღამფა ჩააქრო და ლოგინში ჩაწვა. ფანჯრიდან მოჩანდა ნამგალა მთვარე, რომელიც ხანდახან ღრუბლებში შეიმალებოდა და იქიდან ბავშვივით იქვიტებოდა. ზენაქარი ზუზუნე-

ბდა გარეთ. დერეფანში მწოლარე მურია დროგამოშვებთ წამოიყვებდა ხოლმე. აღარ ეძინებოდა კიჭას. რატომ?—ვერც თვითონ გაეგო.

იმ ღამით კიჭა ძმებს მოელოდა, რომლებიც ხანის მთაში იყვნენ წასული ხეების ჩამოსატანად. ორი ძმა ჰყავდა მას: დათა და ალექსი, ორივე მასზე უფროსი. ობლები იყვნენ, მაგრამ ობლობა არ ემჩნეოდათ. რის ობლები, მაგათანა შემძლებული ოჯახი ერთსაც არა აქვს ამ დუნიაზეო, — იტყოდნენ ხოლმე მათი თავდადებული შრომით განცვიფრებული მებობლები. ძლიერ უყვარდათ ძმებს ერთმანეთი. მებობლებსაც უყვარდათ ისინი.



იმ წელიწადს სოფელში ქურდობა გახშირდა. ოთხი ოჯახი გაქურდეს. ერთ ერთ გლეხს დაბმული ხარები აუხსნეს ბოსლიდან და გააპარეს. გულმავარი ბიჭი იყო კიკა, მიგრამ რაღა ახლა მოაგონდა წლევეანდელი ქურდობის ამბები, ამ მართლაც საშიშ დამით, და ისიც მაშინ, როცა სახლში მარტოდმარტო იყო?!. „ეთქვათ, ამაღამ ჩვენთან მოვიდენ ქურდები. მე ხომ ვერ გავალ გარეთ, თუნდა მთელი ბეღელი დააცალიერონ და წაბლა ძროხაც გაიყვანონ ბოსლიდან. კიდევ რომ გავიდე, რა უნდა ვუქნა, ისინი ხომ ჩემზე მეტი კაცები იქნებიან?!“ გაიფიქრა მან და მხოლოდ ახლა გაიგო, თურათომ არ ეძინებოდა: შიში შეჰპარვოდა გულში. ფანჯარას დაუწყო ისევ ცქერა. შემოდგომის მოშავო ღრუბლები ნათლეთ ნათლეთებათ ისევ მიმოდიოდენ ცაზე მურიამ ყეფას მოუხშირა. კიკა აღვა, ფანჯარასთან მიიჩინა, მაგრამ ვერც ბეღელთან და ვერც ბოსლის კართან ვერაინ დაინახა. ისევ დაწვა. „მურია, ალბათ, ღრუბლებს უყეფს“—გაიფიქრა და თავზე საბანი წაიფარა. ძილდვიძრად იყო. ზენაქარი ისევ ზუზუნებდა გარეთ. ცოტა ხნის შემდეგ მურიამ ყეფას უმატა. ეს არის, ახლა კი მართლა მოვიდენ ქურდებიო—გაუელვა კიკას და გული გაიმავრა. ისევ წამოდგა. ახლა ფანჯრიდან აღარც მურია ჩანდა; მისი ხმა ისმოდა ბეღლის გვერდიდან. კიკამ ტანსაცმელი ჩაიცვა და ფანჯრიდან დაუწყო ცქერა ქიშკრისაკენ, თუ ვინმე გაიტანდა რასმე.

ძილმა ბეღლის უკან ყეფა შეწყვიტა, კიკა მიხვდა, მურია, ალბათ, ვერცაქმსაქმელით გააჩუბაო, და უფრო თვალგაცმეებით აკვირდებოდა ბეღელს და ქიშკარს. მისი ფიქრი გამართლდა: ცოტა ხნის შემდეგ ბეღლიდან ქიშკრისაკენ სამი ლანდი მიიმართებოდა ზურგზე ტომრებაკიდებული. მეოთხე ღელესთან დამალულიყო, გადმოხტა და ქიშკარი გაუღო მათ. ესეც კარგად დაინახა კიკამ. ჟრუანტელმა დაუარა ტანში, რა ქნას, ლოგინში რომ ჩაწვეს, მართალია, ქურდები სახლში არ შემოუცვივდებიან, მაგრამ ბეღელს დააცარიელებენ და წაუღენ. როგორ გაატანოს მათს ზამთრის საზრდო?!. არა, კიკა მარჯვე ბიჭია, კაცადაც კი მოაქვს ხოლმე თავი მეზობლებში. და აი, მან უცებ ასეთი ხერხი იხმარა: ზედა კარები ფრთხილად გამოაღო, სახლის უკან გაიპარა, კედელზე მიყუდებულ წაბლის სარს წამოავლო ხელი და ქურდებს ყვირილით გამოენთო: „ჰაი, თქვე მამაძალღებო, აბა სად წამიხვალთ! აბა, მარჯვედ, აღექსი, არ გაგვექცეს! დათა, შენ ვენახიდან დაუარე თავი, მარჯვედ, ვერსად წავლენ“. მერმე უცებ ვენახისაკენ გადახტა თვითონ შე-





უმჩნევლად და ხმა დაიბოხა, ვითომ იქიდან დათა იძახოდა: „აბა, მიპყევი ალექსი, კიკა, შენ თვალი არ მოაშორო, ვერსად წავლენ... ცოცხლად დავიჭიროთ“!

ქურდები დაფრთხენ. იფიქრეს, სამივე ძმა შინ ყოფილა და თუ დაგვეწიენ ცხელ დღეს დაგვაყრიანო. კიკამ კარგად დაინახა, თუ როგორ დაყარეს მათ ღელეგალმა ტომრები და მოკურცხლეს.

კიკას ახლა ტომრებთან მისვლის მაინც ეშინოდა, შეჩერდა. ქარი უბურძგნიდა ხუჭუჭ თმას. მთვარეს შავი ღრუბელი გადაეფარა და ახლა მას სახლში დაბრუნებისაც შეეშინდა, მაგრამ მეზობლებს ვაეგონათ მისი ყვირილი და მალე მოეშველნენ.

„აი, აქეთ გაიქცენ... ტყისკენ... მე მართო ვიყავი... თოფი არ მქონდა, თუ არა

დედას უტირებდი...“ — ზედიზედ ისროლა სიტყვებს.

მეზობლებმა ტომრები წააღებინეს და ბედელშივე ჩააყრევინეს. ბედელი ქვეშიდან გაებურლათ ქურდებს.

„მურია, მურია სად არის! მოკლეს თუ რატომ აღარ ყფეს?! — წამოიძახა კიკამ და ძაღლის ძებნა დაუწყა. ბედლის უკან იპოვნეს ძაღლი. იგი ქურდებს ჯერ საკმლით მიეტყუებიათ, შემდეგ დაეჭირათ, ტომარაში ჩაეგდოთ და თავი მოეკრათ.

მალე აღიონმაც მოატანა. დღის სინათლე მოიპარებოდა აღმოსავლეთიდან. დილით დათა და ალექსიც დაბრუნდნ მთიდან. ძმები და მეზობლები ქებას ასხამდნენ კიკას.

გიორგი კალანდაძე.

რა ჰქნას, მოხუც ბაბუა ჩემს  
აღმათ ისევ გული ერჩის,  
ზეიმის დროს ხალხში ჩადგეს  
და გაერკვას ყველაფერში...  
ზის მზის ყურში ჩაფიქრებით,  
რაზე დარდობს ნეტავ, ახლა?  
„მომავალ წელს არ ვიქნები!“  
ეს აზრი, ხომ არ ეახლა?!  
მოდით მივალ ვკითხავ ასე:  
ჩემო ბაბუ რა ვადონებს?  
და თან ვეტყვი: შენი ტკბილი  
საუბარი გაგვაგონე.  
ჩემო ბაბუ მოწყენილი  
ბავშვებმა რომ დაგინახეთ



თითქოს ღრუბლებს დაეფარათ  
შენი თეთრი, წყნარი სახე.  
— მოწყენილი? პატარებო,  
რა მაქვს ახლა მოსაწყენი,  
როგორ ჰყვავის ეს გარემო,  
მე მახარებს ყოფა თქვენი.  
ახლა ფიქრმა გამიტაცა,  
ვიგონებდი გრძნობით წარსულს,  
და ზეიმებს მაისისას,  
რომ გაუხსნა გზები ტანჯულთ.  
მართალი ვთქვა დღემდის მუდამ  
სწორი მქონდა სათვალავი,  
დღეს კი ხსოვნა აღარ მყოფნის  
ვერ გავცხრილვ წლების ხეავი.  
და არ ვიცი, ეს მაისი  
მერამდენთ აგვამღერებს,  
მახსოვს ბრძოლა, მახსოვს სისხლი  
გამარჯვებაც მახსოვს მერე.  
ხვალ ვიცი რომ ზეიმია  
და ქუჩებში გაშლით დროშებს,  
მეც წამოვალ ყავარჯენით  
მშრომელებში, რომ გამოვჩდე.  
ენახოთ ჩვენი გამარჯვების  
მაისობის დღე დიადი,  
დღე წარსულში ამბოხების  
მოციქული განთიადის;  
ენახოთ ხალხი, ჩვენი ხალხი,  
მივესალმობთ მათაც გრძნობით  
ვინც ბრძოლებში დროშებს არ ხრის  
და სამყარო შექმნეს ძმობის.  
— შეილიშვილებს უხაროდათ,  
ბაბუს ფიქრი, ბაბუს სიტყვა,  
მოხუცს კითხვა მოაგონდა  
და პასუხი წიგნით ითქვა  
უთხრეს ზეიმების რიცხვი  
და დაღუშდა ისევ იგი  
აღმაღ ახლა გადაშალა  
ფიქრით წარსულ ბრძოლის წიგნი.

მ. ებრალიძე

სალამოა. ირგვლივ ყველაფერი ამწვა-  
ნებულია. ჩიტები დაფრთხილობენ ხის  
ტოტებში, მზე ეალერსება დედამიწას.

ბავშვებმა გული იჯერეს თამაშით  
და ქაქანით აირბინეს კიბე.

— ბავშვებო, არ დაიღალეთ? გეყო-  
ფათ ცელქობა, ახლა ცოტა წაიმეცა-  
დინეთ, წაიკითხეთ რამე...

— დედიკო, გვიამბე რამე!

— არა მცალია, აი ვასო გიამბობსთ.

ვასო უფროსი ძმია, იმან ბევრი რა-  
მე იცის, ლეილა და რაფო კი ჯერ პა-  
ტარები არიან. მაგრამ განა არ უყვართ  
სწავლა? ისე ჩაუჯდებიან ხოლმე წიგნს,  
როგორც ბიძია კოლა, რომლის ოთახი  
სულ წიგნებით არის სავსე.

— ვასიკო, გვიამბე რამე, აბა! — მი-  
ვარდენ მასთან ბავშვები.

— რა გიამბობ?

— რაც გინდა, ის გვიამბე. კარგი რამე  
იცოს, სასაცილო, — უთხრა რაფომ.

— მოდი, ამოცანებს გეტყვით!

— კარგი.

— კარგი.

დაემოწმენ პატარები.

აბა, მე გეტყვით, თქვენ კი კარგად  
დაუფიქრდით, -- გააფრთხილა ბავშვები  
ვასიკომ.

ვასიკომ დაიწყო:

— სამი ბიჭი წავიდა კოოპერატივ-  
ში. გზაში 12 კიბეიკი იპოვეს. აბა თუ  
გამოიცნობთ, რამდენს იპოვიდა, მარტო  
ერთი ბიჭი რომ წასულაიყო?

ლეილამ და რაფომ ერთმანეთს შეხე-  
დეს, რაფომ ხელეებზე დაიხედა და თითე-  
ბზე თელა დაიწყო, თან ღელავდა, ლე-  
ილამ არ მომასწროს გამოცნობაო.

— ოთხ კაპიკს! — წამოიყვირა ლეი-  
ლამ.

— ყველანი კუბოში ჩამეხოცოს, მეც  
ვიცოდი! — დაიძახა ბუთხუზა რაფომ.

— ვერა, ვერ გამოიცანით, — მიუგო  
ვასიკომ. — აკი გითხარით, კარგად დაუ-  
დაუფიქრდით მეთქი!

ბავშვები გაოცდნენ.

რაფომ ისევ გადაითვალა თითებზე  
და ისევ ოთხი გამოუვიდა...

ბოლოს, როგორც იყო, მიხვდნენ,  
და ბევრიც იცინეს.

— აბა კიდევ გვითხარი, კიდევ.  
ვასიკომ დააკმაყოფილა მათი თხო-  
ვნა.



— ორდა ძმად ჯე კილომეტრი გაიარა. ისინი ერთნაირი სისწრაფით მიდიოდნენ. რამდენ კილომეტრს გაივლიდა თითოეული?

რაფოს ნეკი პირთან მიედო და ფიქრობდა.

ღეილას პასუხი უკვე მზად ჰქონდა, მაგრამ თქმას ვერ ბედავდა, კარგად უნდოდა ჩაფიქრებოდა.

მართლაც და რამდენ კილომეტრს გაივლიდა თითოეული?

— ახლა კი ძნელ ამოცანას გეტყვით, ბავშვებო: ორი მამა და ორი შვილი საუზმობდნენ. თითომ თითო კვერცხი შეჭამა, სულ კი მხოლოდ სამი კვერცხი ჰქონდათ.

აბა გამოიცანით როგორ მოახერხეს ეს?

ახლა კი წახდა პატარების სკამი. იფიქრეს. მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. სანამ ვასიკომ არ აუხსნა მათ.

ნეტავ რანაირად ერგებოდა კვერცხი?

— ახლა კი უფრო ადვილს ვეტყვით — სიცილით თქვა ვასიკომ. — ხომ ხედავთ ამ ჩვენ ვახას, შიგ სამი კამფეტია. ჩვენც სამი ვართ. აბა გაყავით ისე რომ თითო-თითო შეგვხვდეს და ერთიც ვახაში დარჩეს.

მისჩერებიან ვახას, ერთმანეთს, მაგრამ საშველი არ არის.

წვალობენ პატარები. მოდი, დაეხმარეთ მათ.

5. ქ — ლი

## საზაფხულო არღაღებები

მზე შუბებად აშლის  
მოელვარე სხივებს,  
ვარდის კოკორს გაშლის  
და ლურჯკაბა იებს!  
პეპლებიც ლალად  
დაიწყებენ ფრენას,  
ნამი მორწყავს ბალახს,  
მწვანედ გადაფერავს!  
დამთავრდება სწავლა,  
და მეც წავალ სახლში...  
როგორ მიყვარს ჩავლა  
ბუნჩებთან გზაში!  
საზაფხულო ხალათს  
დამახვედრებს დედა,  
ოქტომბრელის შარვალს

როგორც მოუხდება...  
გავატარებ ზაფხულს  
ხალისით და ლხენით,  
ღილით ადრე სოფელს  
გავალვიძებ მღერით,  
ავაშენებ ზაჰესს,  
ჩემ წიგნში, რომ არი,  
ელნათურის თვალებს  
გამოიბამს წყალი!  
გავისტუმრებ ივლისს,  
შემოდგომაც მოვა,  
და ვეწვევი ტფილისს, —  
უკვე სწავლის დროა!

სიმონ გერგიშვილი.

## გ ა ლ ვ ი კ ე ზ ა

ო, რა კარგი ბიჭიკოა  
ეს პატარა ჭიჭა  
გათენდა და იმავ წუთში  
თვალი გააჭყიტა,  
ეხმარება იგი მშობლებს  
მიტომ უყვარს ყველას.

სწავლაშიაც პირველია  
მას არ უნდა შევლა.  
გასძახებს სხვა ბავშვებსაც  
თქვენ სკოლისკენ პერი,  
წამო ჩქარა ნუ ხარმაცობთ  
თინა, ქეთო, მერი.

ეთერი მარკოზაშვილი.

მე-3 არა სრული საშუალო სკოლის V კლასის მოწაფე.



ფოლადის მრგვალი მოწყობილობის გონდოლით, რომელიც უდიდეს დაწო-  
 რას უზიანოდ იტანს, ამერიკელი მეც-  
 ნიერი—მკვლევარი ვილიამ ბიზი და კი-  
 ნოპერატორი ოტის ბოსტონი ჩაე-  
 შვენ ატლანტიის ფსკერისაკენ. ოკეანეში  
 ჩაეშენენ ბერმუდის კუნძულის მახლობ-  
 ლად.


ფსკერისაკენ მიდიოდენ ნელ-ნელა და  
 ყოველი 30 მეტრის ჩაძირვის შემდეგ ჩერ-  
 დებოდენ და ამ მრგვალი მოწყობილობის  
 გონდოლის ფანჯრებიდან ათვალიერებ-  
 დენ და იკვლევდენ გარემოს. მიიწევდენ  
 სიღრმეში და ნათელი მზიანი დღის შუქიც  
 იქცეოდა რუხ ბინდ-ბუნდად, შემდეგ ეს  
 ბინდ-ბუნდი ღია-მწვანე ფერად, ქვევით  
 მობნელო მწვანე, ხოლო უფრო ძირს  
 ბნელ მოლურჯო ფერად. სულ ძირს ოკე-

ანის წყალი მთლად შავი კუბრით  
 იქცა, რომელშიდაც ციაგობდენ ათასო-  
 ბით წვრილმანი სინათლეები. ესენი პა-  
 ტარ-პატარა თევზები იყვნენ, რომელთა  
 სხეულზედაც თითქო პატარა ელექტრო-  
 ნათურები იყო მიმაგრებული. ვეებერ-  
 თელა უცნობი ჯიშის თევზები საშინე-  
 ლი სისწრაფით დაქროლავდენ სიბნე-  
 ლეში და ეხეტებოდენ ჩამეებულ გონ-  
 დოლის განათებულ კედლებს. ერთი  
 საათისა და 15 წუთის შემდეგ მკვლე-  
 ვარები ჩაიძირენ 750 მეტრის სიღრმეზე.  
 ასე ღრმად ჯერ არავინ ჩასულა ზღვის  
 სიღრმეში. იქ მათ დაჰყვეს ნახევარი  
 საათი, აკვირდებოდენ გარემოს, სწავ-  
 ლობდენ და იღებდენ კინო სურათს, რის  
 შემდეგაც მათი გონდოლა მშვიდობით  
 ამოტივტივდა ოკეანის ზედაპირზე.

## შავი ზღვის იშვიათი სტუმარი

შავ ზღვაზე თევზის ჭერის დროს  
 ბალაკლავსკის ყურეში სათევზაო ბა-  
 დით დაჭერილი იქნა შავი ზღვისთვის  
 უჩვეულო სტუმარი მახვილთევზა. ასე-  
 თი თევზი ჩვეულებრივად ხმელთაშუა  
 ზღვაში ცხოვრობს და შავ ზღვაში მი-  
 სი არსებობა იშვიათია.

დაჭერილი მახვილთევზა მოიტანეს  
 სევასტოპოლში, სადაც ბიოლოგიურ სა-  
 დგურში გასჭრეს, აზომეს და გააკეთეს  
 მისგან ჩუჩქლა. მისი წონა აღმოჩნდა  
 16 $\frac{1}{2}$  კილოგრამი, სიგრძე მახვილიანად  
 1 მეტრი და 61 სმ. მარტო მახვილის  
 სიგრძე 76 სანტიმეტრი.



# გიგლას ოცნება



ზის ფანჯარასთან გიგლა  
სივრცეს გაჰყურებს, ფიქრობს.  
და გადაშლილი წიგნი  
ვაჰბუტებია თითქოს!

ახლა გმირია, გმირი,  
ოცნებითა და ფიქრით,  
აი, დაფრინავს ვითომ  
შორს, პოლუსების იქით.

ვითომ იმ ადგილს ეძებს,  
სად ბანაკობდა შმიდტი  
მამაცი, შეუპოვარი,  
განსაცდელშიაც მშვიდი!

მაგრამ გარშემო ბნელა,  
ბურუსია და ყინვა,  
წუთით არ ცხრება, წუთით,  
ქარის კივილი, გმინვა.

უკან არ იხვეს გიგლა,  
განა შერცხვება გმირი?!  
თუმცა დალუპვის წინ დგას  
და გაეყინა ცხვირი!

ეჰ, რომ დანებდეს სტიქიას  
რალა გამოვა მაშინ?...  
ის არა სჯობდა მჯდარიყო  
ბაბუასავით სახლში?!

ვოდოპიანოვს, სღებნევეს  
არ შეეცაკათ ქარი?  
მაინც სძლიებს და შეტეხეს  
დიდი არქტიკის კარი!

უკან არ იხვეს გიგლა,  
ქარი კი ისევ შფოთავს,  
და გულში ნატრობს თვლირ  
მოჰკრას აღმართულ დროშას.

ხშირად იცვლება ამინდი,  
როგორც ზვირთების დენა,  
მოულოდნელად უცებ  
ქარმა ჩაიგდო ენა.

ნისლებიც გაიფანტენ,  
ხმელეთიც კარგად მოჩანს,  
და აჰა, უცებ გიგლამ  
თვალი შეასწრო დროშას.

კიდევ დაეშვა დაბლა,  
იქვე ბანაკის ახლოს,  
მაგრამ ეშმაკად გაჩნდა  
მურა ოთახში ამ დროს.

ამ საძაგელმა გიგლას  
არ შეუნახა ხათრი,  
შეუყვება და აღერსით  
მუხლებზე დაჰკრა თათი.

გამოერკვია გიგლა,  
ირგვლივ მოავლო თვალი...  
ოცნება იყო, მიხვდა  
აქამდე ნაფიქრალი.

გაწყრა, მოღუშა სახე,  
ბაგეს მოსცილდა ღიმი,  
და გადაწყვიტა გახდეს  
გმირი, ნამდვილი გმირი.

აღ. ბილანიშვილი.



აპარისტიანის მუსიკალური ტექნიკუმის ნიჭიერი მოსწავლეები: მიშა ტახიშვილი  
და ტახა შირაივა.



# ბავშვთა დღე სოფლად

ბუკი ზეწარივით გაშლილი,  
 იაშე გათეთრდა ბილიკზე.  
 ბროზა მოჰქონდათ ქარშივე  
 დღიმებოდა დილის მზე...  
 ბთებს ქარის ქროლვით მოფენილს,  
 მოჰქონდა აურზაური,  
 გაცოცხლდა მთელი სოფელი  
 ბავშვთა ნაბიჯის ხმაურით.  
 — ჰყვავის მესამე თაობა,  
 ქუჩებში ჟრიაბულია.  
 ბრძოლაში გამბედაობა  
 მათი სული და გულია.  
 ამხიარულებს პატარებს

ლურჯი ციმციმი დილის ცის.  
 მთელი დღე ხელით ატარეს  
 სურათი დიდი ილიჩის!..  
 სანამდის ღამე მაისის,  
 ცაზე გაჰყრიდა კამათლებს.  
 ცეკვაუდა ყველა ხალისით,  
 კლუბში საღამოც გამართეს.  
 დაღამდა. მთვარემ სხივები  
 ორბის ფრთებივით გაშალა.  
 — გამოეფინენ ბავშვები...  
 აახმაურეს თემშარა.

გიორგი ნაფეტვარიძე.

ქ. სამტრედიის პედ. ტექ. III კურსის სტუდენტი

# გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

რა კარგია, რა ღამაზ  
 გაზაფხულის! დილა,  
 მინდვრები და მალღობები  
 მწვანით შემოსილა.  
 ბუკ ბუჩქებში შაში უსტვენს  
 უღარდელი ღხენით,  
 და მერცხლები სიხარულით  
 ჰაერს ქრიან ფრენით.  
 გამოცოცხლდა ყველაფერი  
 ზამთრისაგან მკვდარი.  
 შესაზარად აღარ ღმუის


სუსხიანი ქარი.  
 და შორს საღლაც მთის ხევებში  
 ზეაფი აღარ წვება  
 ახლა ყველა სულიერი  
 იღვიძებს და დგება!  
 რა კარგია, რა ღამაზი.  
 გაზაფხულის დილა,  
 მინდვრები და მალღობები  
 მწვანით შემოსილა.

კიმოთე მუკვანი.

ტფილისის სატყეო ტექნიკუმის I კურ. სტუდენტი



სულ-ანტი



უნდა გადათვალო ისე, რომ შვიდჯერ გამოვიდეს—ან-ანტი.

წარმოადგინა. ლ. კ. — მთ.